თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7402250

ნომერი: AR11078698

თარიღი : 27.02.2025

გაცემის თარიღი : 07.03.2025

გაცნობის თარიღი : 11.03.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი შუბითიძე პ/ნ 38001004523
- საჩხერე 26 მაისის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

მოგეხსენებათ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი ს/კ: N01.11.17.001.238 მდებარეობს მაღალი გეოლოგიური საფრთხის ზონაში და მეწყრის განვითარების არეალში. აქვე გაცნობებეთ, რომ 2019 წელს შესყიდული იქნა ქ.თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის კვლევა პროექტირების კონცეპტუალური პროექტი, რომლის მიხედვითაც თ.შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული ფერდი დაიყო რამოდენიმე ზონად. აღნიშნული კონცეპტუალური პროექტის საფუძველზე შესყიდული პროექტის მიხედვით სამუშაოები დასრულდა III ზონაში, სადაც მეწყრული უბნის გამაგრებისთვის მოეწყო ხიმინჯოვანი კედელი და აღნიშნული ზონა დასტაბილურდა. თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ N 01.11.17.001.238)არ მდებარეობს ზემოთ აღნიშნული კონცეპტუალური პროექტით განსაზღვრულ III ზონაში, შესაბამისად ამ ეტაპზე სამსახხური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.